კა'ფოსკარის (იტალია) უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სტიპენდიები 2012/2013 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარული, იურიდიული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატის III, IV, V, VI სემესტრის და მაგისტრატურის I, III სემესტრის სტუდენტებისთვის კა'ფოსკარის უნივერსიტეტში (www.unive.it) გაცვლითი სტუდენტის სტატუსით ერთი სემესტრით სწავლის უფლების მოსაპოვებლად.

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა იტალიური ენის ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და იტალიურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (იტალიურ ენაზე)
- აკადემიური მოსწრების ფურცელი (ქართულ ენაზე, დეკანატის ბეჭდითა და შესაბამისი ხელმოწერით დამოწმებული)
- რეკომენდაცია
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- სასურველია იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პასპორტის ასლი

კა'ფოსკარის უნივერსიტეტი გაცვლით სტუდენტებს ათავისუფლებს სწავლის გადასახადისაგან. იტალიაში ყოფნის ყველა სხვა ხარჯი (ბინა, კვება, მგზავრობა და სამედიცინო დაზღვევა) უნდა დაიფაროს სტუდენტის მიერ.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 26 ოქტომბერი 18 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ლელა კაცაძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204, ტელ: 225 02 12).

შენიშვნა: **დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**